№ 3377/24-8 "16" 06 2025

შპს „ნს სტუდიო“-ს დირექტორს
ბატონ ლუკა ჩაგანავას
ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. #3
ტელ: 571937070

ბატონო ლუკა,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-5246; 06/06/2025წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.14.06.004.003 სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას დადგინდება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაციის არსებობა, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ირაკლი აბაშიძე



სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 11.06.25

შპს "მაგთიკომი"
№ ED-25/06/09-017
09-06-2025 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,ნს სტუდიო''-ს დირექტორს ბატონ ლუკა ჩაგანავას (ს/ნ 404496933)

ბატონო ლუკა,

თქვენი 2025 წლის 6 ივნისის N1/04 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებილი საპროექტო არეალის (ქ. თბილისი, ნაფეტვრებისაკენ მიმავალი გზა, ნაკვ. #03/003, #03004, ს.კ. 01.14.06.004.003) მიმდებარედ გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი''-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 595 108910: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი.
შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

Classification: MAGTICOM Confidential



შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ბიორგი ზაქაშვილი

თარიღი: 6/6/2025

===== მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია

მაგთიკომის საჰაერო კომუნიკაცია

შპს "მასტიკომ"
Polikovskaya St. N: 7
110011

01-02/146060
11 06 25

შპს „ნს სტუდიო“ს დირექტორს

ლუკა ჩაგანავას

ბატონო ლუკა,

თქვენი 2025 წლის 06 ივნისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზე ს/კ 01.14.06.004.003 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არ გადის შპს „კავკასუს ონლაინი“-ს კომუნიკაცია .

პატივისცემით,

რევაზ კოპალიანი

გენერალური დირექტორი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01251741098**
თარიღი: **23/06/2025**

ადრესატი: შპს ნს სტუდიო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404496933
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ხ. სავანელის ქ., N 18

ბატონო ლუკა,

შპს „თბილსერვის ჯგუფში" 2025 წლის 15 მაისს შემოსული #10/0125135521-62 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ განხილული იქნა ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.06.004.003) მოსაწყობი სანიაღვრე ქსელის კორექტირებული გენ. გეგმა.

სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ სამუშაოები კორექტირებული გენგეგმის შესაბამისად.

შპს „თბილსერვის ჯგუფი" სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მერია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
ანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების
ექსპლუატაციის დეპარტამენტი
შეთანხმებულია
23 ივნისი 2025



თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-148051-25 , 02-13-156999-25
20 / 06 / 2025

სს „გრინ ქეფითალ“-ის წარმომადგენელს
ლუკა ჩაგანავას

ბატონო ლუკა,

თქვენი მიმდინარე წლის 9 ივნისის და 18 ივნისის №02-13-148051-25 და №02-13-156999-25 წერილების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.06.004.003) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე შპს ''თბილისი ენერჯი''-ს კუთვნილი გაზსადენი არ გადის.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

ამასთან, საკადასტრო ერთეულზე, სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე, გაზსადენის აღმოჩენის შემთხვევაში, საჭიროა შეაჩეროთ მშენებლობა და დაუყოვნებლივ აცნობოთ შპს „თბილისი ენერჯი“-ს.

შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

-156999-25 / 2025-06-18



შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
შეთანხმებულია
ტექნიკური დოკუმენტაცია
რეგისტრაციო № 02-13-148051-25, 02-13-156999-25
19 | 06 2025წ.

A1/1:5000

ფ. 01.14.06.004.003

Luka Chaganava 01017043074

Digitally signed by Luka Chaganava Date: 2025.06.18

თბილისი, 2025 წლის ივნისი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 1213/316/25
Дата: 13/02/2025

მოქ. ლუკა ჩაგანავას

06.02.2025 #1206/760/25 და 09.02.2025 #1209/524/25 განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.14.06.004.003) მიწის ნაკვეთს კვეთს სს ,,თელასის" კუთვნილი 110კვ-ის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ,,მთაწმინდა1-2; ლისი1-2",

საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1.ნაკრძალებში, დასახლებათა გამწვანების ზონაში, პარკებში, საავტომობილო გზისა და რკინიგზის გასწვრივ ქარსაცავ ზოლში-ჰორიზონტალური მანძილით საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მაქსიმალურად გადახრილი განაპირა სადენებიდან ხეების ვარჯამდე, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება., მუხლი 3, პუნქტი ა.გ ქვეპუნქტი ა.გ.გ.).

2.მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით.

3.აკრძალულია გხ გატარება შენობებზე და ნაგებობებზე, გარდა უწვადი მასალებისაგნ დამზადებული სამრეწველო საწარმოების შენობა ნაგებობებისა. მინიმალური მანძილი ვერტიკალში გხ-ის სადენის მაქსიმალური ჩაღუნვის ისრიდან შენობამდე და ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 4 მეტრი.

4.აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება.მუხლი 4, პუნქტი ე).

5.სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს). ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს ,,თელასის" შესაბამის სამსახურთან (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება. მუხლი 3, პუნქტი ა.ა.გ. და მუხლი 4 პუნქტი 2).

ნაკვეთზე გამავალი 110 კვ.ძაბვის საჰაერო ხაზის, ოპერატიული და შეუფერხებელი მომსახურებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაკვეთზე საჰაერო ხაზის ქვეშ და განაპირა სადენების გასწვრივ 4მ. სიგანის მონაკვეთის , დატვირთვა სერვიტუტით ან

გადატანა საკადასტრო საზღვრებს გარეთ, ასევე 6-10 კვ .ძაბვის მიწისქვეშა კაბელის, ოპერატიული და შეუფერხებელი მომსახურებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ნაკვეთზე კაბელის გასწვრივ (ორივე მხარეს) 1 მ. სიგანის მონაკვეთის დატვირთვა სერვიტუტით ან გადატანა საკადასტრო საზღვრის გარეთ, (ნორმების დაცვით).

სს ,,თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს ,,თელასის" გენერალური
დირექტორის მ.შ ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყოფილების უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)


#A94
#3614
6-10 кВ
35-110 кВ
0,4 кВ - 6 кВ
1:2,061
N

№ 0625-1103025 D 01.07.2025

ბატონ ლუკა ჩაგანავას
ელ-ფოსტა: team@nsstudio.ge
ტელეფონი: 571 93 70 70; 551 96 22 27

ბატონო ლუკა,

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN25-1095152, დათარიღებული 10/06/2025წ. მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.14.06.004.002 მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ, სიტუაციური ნახაზის მიხედვით გაედინება ,,კომპანიის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენ-წყალარინების ქსელები (იხ. დანართი), რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) თანახმად, წყალსადენ-წყალარინების მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელების შემთხვევაში, 3 მეტრ მანძილზე, ხოლო, ღობის მშენებლობის შემთხვევაში წყალსადენის ქსელიდან 3 მეტრამდე მანძილზე და წყალარინების ქსელების შემთხვევაში - 1,5 მეტრ მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

ასევე გაცნობებთ, რომ სამშენებლო ნორმებით და წესებით (2.04.02-84 და II-89-80) სანიტარული დაცვის ზოლში რომელიც განსაზღვრულია სასმელი წყლის რეზერვუარისათვის 30 მ, ხოლო სატუმბო სადგურისათვის 15 მ, მშენებლობა დაუშვებელია.

წყალსადენ-წყალარინების ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით „კომპანია" გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ასევე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შესაძლოა გაედინება „კომპანიის" აბონენტების განშტოებები, რომელთა ზუსტ ტრაექტორიაზე ,,კომპანია" ინფორმაციას არ ფლობს. სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოების პროცესში განშტოების აღმოჩენის შემთხვევაში, ვალდებული ხართ დაიცვათ სამშენებლო ნორმები.

რაც შეეხება გენ. გეგმის შეთანხმებას, საჭიროა ,,კომპანიაში" წარმოადგინოთ საპრექტო დოკუმენტაცია, სადაც განსაზღრული და დაცული იქნება დაშორება საპროექტო ობიექტიდან წყალსადენ-წყალარინების ქსელებამდე.

დანართი: სიტუაციური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი
მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)

IN25-1095152

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი



მაშტაბი: 1:4,400

0 30 60 120 180 240 მეტრი

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

მიწისქვეშა კომუნიკაციები

გვირაბი	რეზერვუარი	წყალარინების მილი	
სასმელი წყლის მილი	სატუმბო	წყალარინების ჭა	
სასმელი წყლის ჭა		სატუმბო	

6/13/2025

ნ. ირემაშვილი
GIS-ის სამსახური
"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0701/028/25
01/04/2025

სს „გრინ ქეფითალის“ დირექტორს
ბატონ ვაჟა ჩოფიკაშვილს

თქვენი 2025 წლის 27 მარტის #0627/707/25 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ პროექტი განიხილა სს "თელასის" ტექნიკურმა სამსახურმა და შეგიძლიათ განახორციელოთ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

1. სამუშაოების დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე უნდა მოახდინოთ სს „თელასის" ტექნიკური სამსახურის (შესაბამისი საექსპლუატაციო რაიონის), ასევე შესაბამისი ბიზნეს-ცენტრის ინფორმირება სამუშაოს დაწყების და სავარაუდო დასრულების შესახებ;
2. სამუშაოები უნდა შეასრულოთ სს „თელასის" ტექნიკური სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ;
3. სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი მამუკა ქობალია

შემსრულებელი:
ზ. მაღალაშვილი
ტელეფონი: (032) 2779999-1-7850

საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა:
ს/ქ 3614-დან ს/ქ #A2688-ის დამაკავშირებელი 6კვ ძაბვის 310 მეტრიანი კაბელების მონაკვეთების გადატანის

მუშა პროექტი

მისამართი – ქ. თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე

დამკვეთი: სს "გრინ ქეფითალ"

შემსრულებელი: რ. მეცხოვრიშვილი

სს თელასი / JSC Telasi
პროექტი შეთანხმებულია / The Project is Agreed
№ 794
თარიღი/Date: 01 / 07 / 2025
თელასი

თბილისი
2025 წელი

საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა: ს/ქ 3614-დან ს/ქ #A2688-ის დამაკავშირებელი ნკვ ძაბვის 310 მეტრიანი კაბელების მონაკვეთების გადატანის

მუშა პროექტი

მისამართი – ქ. თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე

დამკვეთი: სს “გრინ ქეფითალ”

შემსრულებელი: რ. მეცხოვრიშვილი

თბილისი
2025 წელი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

ნომერი: 0916/222/25

თარიღი: 16/02/2021

მოქ: ლუკა ჩაგანავას

ტელ:593-27-88-58

ბატონო ლუკა,

თქვენი მიმდინარე წლის 14 თებერვლის #0914/558/25 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართებზე (ს/კ -ზე : 01.14.06,004,002) გადის სს „თელასის" ბალანსზე მყოფი 6/10 კვ-ის საკაბელო ქსელი 3131-ა2688. ს/ქ-3614-აბონენტებამდე. 35-110კვ: LS-SB, LS-MC (წარმოგიდგენთ აღნიშნული ქსელის გამომსახველ სქემატურ ნახაზს, PDF და SHP ფაილების სახით).

მითითებულ ტერიტორაზე სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, სს „თელასის" მხრიდან წარმომადგენლების გამოყოფისთვის, უნდა დაუკავშირდეთ სს „თელასის" გამანაწილებელი ქსელის სამსახურის უფროსის მოადგილეს ბატონ ვლადიმერ სისაურს (ტელეფონი: 599 539813) და სს „თელასის" კომუნიკაციების დაზიანების პრევენციის მიზნით, წარმოადგინოთ შეთანხმებული სამუშაო პროექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოების მწარმოებელი სამუშაოების შესასრულებლად არ დაიშვება.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366-ე დადგენილებით დამტკიცებული "ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა"- ქვეპუნქტით, ხაზის (ბოძის) გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით. ელ. გადამცემი ხაზის (ბოძის) მფლობელის პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად, ხოლო სამუშაოების დაწყების თარიღი და დრო უნდა შეთანხმდეს სს"თელასთან".

დამატებით გაცნობებთ, რომ სამუშაოების შესრულება შეიძლება განხორციელდეს სს „თელასთან" ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ან შესაბამისი გამოცდილების მქონე გარე ორგანიზაციის მიერ. გარე ორგანიზაციის შერჩევის შემთხვევაში, ორგანიზაციის გამოცდილების და შესაბამისი სამუშაოების წარმოებაზე ლიცენზიის არსებობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ წარმოდგენილი უნდა იქნას სს „თელასში" შესათანხმებლად, ასევე

სააქციო საზოგადოება "თელასი"

წარმოდგენილი უნდა იქნას პერსონალის სია ვინც აწარმოებს სამუშაოს შესაბამისი უსაფრთხოების ჯგუფის დამადასტურებელი დოკუმენტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დაშვება ქსელში ვერ მოხერხდება.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მ.შ ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

ვ. სისაური

ტელ:2-77-99-99-1-7881

სარჩევი

ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები 3

10/6კვ მასალების სპეციფიკაცია 3

გასაუქმებელი მასალების უწყისი 3

განმარტებითი ბარათი 4

პროექტით შერჩეული კაბელის ტექნიკური მახასიათბლები 5

კაბელის გაღუნვის რადიუსი 6

ქურო შემაერთებელი ПСТО-10/3х70-120 7

სამფაზა შიდა დადგმულობის დამაბოლოებელი ქურო 7

გოფრირებული მილის მახასიათებლები 8

მიწის მოცულობითი სამუშაოები 1 კაბელისთვის 10/6კვ 11

მითითებანი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე 12

დანართი 13

ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები

ს/ქ #3614-დან ს/ქ #A2688-ს შორის 10/6კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი

#	დასახელება	განზომილებიs ერთეული	რაოდენობა
1	კლიმატური პირობები • -		
2	საპროექტო 10/6კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ტრასის სიგრძე	მ	292
3	საპროექტო 10/6კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემ ხაზზე შემაერთებელი ქუროს	ც	2
4	საპროექტო 10/6კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემ ხაზზე საბოლოო ქუროს	ც	-
5	მილი პლასტმასის, სქელკედლა	მ	10
6	ლენტი გამაფრთხილებელი	მ	299
7	საპროექტო 10/6კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე ალუმინის სადენი NA2XSEY-10 3X95 RM/25 მმ²	მ	310

10/6კვ მასალების სპეციფიკაცია

#	დასახელება	განზ-ბის ერთეული	რ-ბა
1	10/6კვ ძაბვის ალუმინის სამფაზა კაბელი NA2XSEY 3x95 RM/25 მმ²	მ	310
3	ქუროს შემაერთებელი 10/6 კვ - ПСТО-10/3x150-240	ც	2
4	დამაბოლოებელი ქუროს POLT-12D/3XI-H1-L12B (120-240მმ)	ც	-
5	პლასტმასის გოფრირებული მილი D=110 მმ	მრძ.მ	10
7	გამაფრთხილებელი ლენტა 150 მმ	გრძ.მ	299
8	მიწა მინარევების გარეშე, ან ქვიშა	მ³	20

გასაუქმებელი მასალების უწყისი

#	დასახელება	განზ-ბის ერთეული	რ-ბა
1	10/6კვ ძაბვის ალუმინის სამფაზა კაბელი NA2XSEY 3x95 RM/16 მმ²	მ	180

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე პროექტი – ქ. თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე (ს/კ. #01.14.06.004.003) მდებარე სს "გრინ ქეფითალი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთში განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოების გამო #3614-დან ს/ქ #A2688-ის დამაკავშირებელი 6კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა – დამუშავებულია სს „თელასი“-ს მიერ გაცემული წერილის #0916/222/21 16/09/2021 საფუძველზე.

პროექტით გათვალისწინებულია:

- **#3614-დან ს/ქ #A2688-ის მიმართულებები:** ობიექტის წითელი ხაზების შიდა საზღვარზე მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილიდან - სამხრეთ ნაწილამდე 6კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ეგხ-ს მშენებლობა.
- 10/6კვ საპროექტო მიწისქვეშა საკაბელო ხაზის გრუნტიანი სავალი ნაწილის მიმდებარედ 10 მეტრი პლასტმასის სქელკედლა D=110/94მმ დიამეტრის მილში კაბელის გატარება.
- 10კვ ძაბვის საპროექტო საკაბელო ხაზის სამონტაჟოდ პროექტით გათვალისწინებულია ალუმინის სამფაზა - NA2XSEY 6/10kV 3*95 RM/25 მმ² კაბელის ჩადება, ტრასის სიგრძით 310 მეტრი.

ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო შესრულდეს “ПУЭ”-ს შესაბამისი პუნქტების დაცვით.

შენიშვნა: ქსელის პარამეტრები არ იცვლება, აქედან გამომდინარე ცალხაზოვანი სქემა განხილვას არ საჭიროებს.

პროექტით შერჩეული კაბელის ტექნიკური მახასიათებლები

სს „თელასი"-ს მიერ გაცემული ტექნიკური პირობის შესაბამისად 10/6კვ ეგხ-ს საკაბელო ხაზის ტრაექტორიის ცვლილების შემთხვევაში უნდა შესრულდეს ტექნიკური პირობით განსაზღვრული პირობა და ჩაიდოს არსებულის შესაბამისი კვეთის კაბელი, რაც აკმაყოფილებს ძაბვის კარგვისა და დატვირთვის ნორმებს საპროექტო მიმართულებაზე.

შევარჩიეთ ალუმინის სამფაზა - NA2XSEY 6/10kV 3*95 RM/25 კაბელი.

ალუმინის ცალფაზა კაბელებით შეკერილი პოლიეთილენის (XLPE) იზოლაციით, გაძლიერებული გარსაცმით მექანიკური დაცვის ამაღლების მიზნით და ორმაგი ჰერმეტიზაციით.

სტანდარტი: ГОСТ Р МЭК 60840-2011, МЭК 60500-2005, ГОСТ Р 55025-2012.

ნომინალური ძაბვა: 10კვ. მაქსიმალური ძაბვა 12 კვ. NA2XSEY 6/10kV 3*95 RM/25.



ალუმინის სამძარღვა კაბელი სტანდარტი DIN VDE 0276-620; IEC 60502; IEC 60332-1;HD 620 S1: 1996; DIN EN 60228 class 2 (construction)						
კაბელის მარკა	ნომინალური კვეთი მმ²	ეკრანის კვეთი მმ²	გარე გარსაცმის სისქე	გარე დიამეტრი, მმ	წონა კგ/კმ	ნომინალური დენი, ა
						მიწაში/ჰაერში
NA2XSEY 10 kV	3X95 RM/25	25	2,6	58	2500	242/249

შერჩეული კაბელის მარკა: NA2XSEY **10 kV (ერძივი და განივი გერმეტიზაციით).**

1. უჟანგავი ალუმინის გამტარი;
2. შიდა ნახევრად გამტარი ფენა;
3. XLPE იზოლაცია (შეკერილი პოლიეთილენის);
4. გარე ნახევრად გამტარი ფენა;
5. ნახევრად გამტარი ფირფიტა;
6. სპილენძის მავთულის ეკრანი;
7. გაჟღენთილი ფირფიტა;
8. პოლიეთილენით დაფარული ალუმინის ფირფიტა;
9. პოლიეთილენის გაძლიერებული გარე გარსაცმი.

კაბელის მაქსიმალურად დასაშვები ძაბვა

ნომინალური ძაბვა	მაქსიმალური ძაბვა	იმპულსური გამოსაცდელი ძაბვა
10/6კვ	12 კვ	75 კვ

კაბელის გაღუნვის რადიუსი

სამფაზა პოლიმერული (XLPE) იზოლაციით შეკერილი კაბელის გაღუნვის რადიუსი: R=15XD.

გაღუნვისას კაბელის გასაღუნი მონაკვეთი უნდა გათბეს 300 °C - მდე.

კაბელის ჩადებისას სპეციალური ტექნიკის გამოყენებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კაბელის დასაშვებ დაჭიმულობის ძალვას.

ცალფაზა კაბელების ჩადებისას, დამჭიმავი მოწყობილობის საშუალებით, დაჭიმულობის საერთო ძალვა ტოლი უნდა იყოს ერთი კაბელის დაჭიმულობის ძალვის.

P=Sx30 ნ/მმ2

სადაც, S არის ძარღვის კვეთი მმ-ში, ეკრანის გარეშე.

კაბელის მონტაჟის მაქსიმალური ტემპერატურა

(XLPE) იზოლაციით შეკერილი კაბელების ჩადებისას, კაბელის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ -5 °C.

უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში კაბელი 24 საათით უნდა მოთავსდეს 20° C ტემპერატურის სათავსოში ან მოხდეს მისი გათბობა სპეციალური მოწყობილობით.

პროექტში გათვალისწინებულია ერთჯაჭვა ექვსი კაბელის ვერტიკალური განლაგება. კაბელების მიწაში ჯგუფურმა განლაგებამ, დამცავმა გადახურვამ და გარემოს ტემპერატურის ცვალებადობამ შეიძლება საგრძნობლად იმოქმედოს ნომინალური დენის სიდიდეზე, ქვემოთ მოცემულია მაკორექტირებელი კოეფიციენტების ცხრილი.

კაბელების ჩადების (მონტაჟის) პირობები:

- გრუნტის ტემპერატურა - 20□C;
- გრუნტის თერმული წინაღობა - 1.0 KK*m/vt;
- კაბელების განლაგების ფორმა - სამკუთხედი;
- დატვირთვის კოეფიციენტი 1.0 (100%-იანი დატვირთვა).

გარემოს ტემპერატურაზე დამოკიდებული დატვირთვის მაკორექტირებელი კოეფიციენტი

ტემპერატურა, °C	1	0	5	10	15	20	25	30
XLPE იზოლაციით შეკერილი კაბელი	1,11	1,09	1,07	1,05	1,02	1,00	0,98	0,95

ქურო შემაერთებელი ПСТО-10/3x70-120



სამფაზა შიდა დადგმულობის დამაბოლოებელი ქურო





ნომინალური ძაბვა Uo/U (кВ) 6/10кВ	ჭანჭიკური დაბოლოებით	
	მარღვის კვეთი (მმ²)	ქუროს ტიპი
	70-120	POLT-12D/3XI-H1-L12B (L=450 მმ)

გოფრირებული მილის მახასიათებლები

კაბელების მიწამი მოწტაჟისთვის გათვალისწინებულია ორფენიანი პლასტმასის გოფრირებული პლასტმასის ორფენიანი გოფრირებულ ხისტ მილის (სიხისტის კლასი SN-8).

მისი გარე და შიდა ფენა დამზადებულია HDPE. დაცვის ხარისხია IP 67. მილის მოწოდება ხდება 6 მეტრი სიგრძის მონაკვეთებად, კომპლექტაციაში შედის შემაერთებელი ქურო.

გოფრირებული მილის დიამეტრის არჩევა ხდება სახელმძღვანელოდ ან სამრეწველო საწარმოების ელექტრული დაწადგარების მოწტაჟისთვის (1976 წ), სწორი მონაკვეთი აღებულია სამუალოდ მეორე ჯგუფის. მესაბამისად მერჩეულია გოფრირებული მილი შიდა დიამეტრით $1,4^{*}Ф_{კაბ} = 1,4^{*}58 = 81,2<110$



ორფენიანი პლასტმასის გოფრირებული მილი

გოფრირებული მილების სპეციფიკაცია

მილის გარე დიამეტრი	სიხისტის კლასი	მასალის ტიპი	დაცვის ხარისხი	სიგრძე, მეტრი/ცალი
110/94	SN-8	HDPE	IP 67	6

10/6 კვ ძაბვის საკაბელო არხის მოწყობა

10/6 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის თხრილი გათვალისწინებულია მოეწყოს შემდეგი ნორმებით:

- საკაბელო არხში კაბელის ჩადების დროს საკაბელო არხის სიღრმე 800 მმ-ია, თხრილის სიგანე 350 მმ;
- კაბელი უნდა მოთავსდეს თხრილში, თხრილში ჩადებამდე 100 მმ იყრება წმინდა სილა, შემდეგ იდება კაბელი და დაფარება 100 მმ წმინდა სილით, არხი იფარება იგივე გრუნტით რაც ამოიღება არხიდან.
- კაბელის მექანიკური დაზიანებისაგან დასაცავად, გზის გადაკვეთაზე კაბელები გატარდება პლასტმასის სქელკედლა მილში, ჩადების სიღრმე არანაკლებ 1000 მმ;
- კაბელების ჩადება საპროექტო ტრანშეაში გათვალისწინებულია Ø110/94მმ დიამეტრის პლასტმასის მილში;
- მილი გაიწმინდოს კაბელის მონტაჟამდე. მილის ბოლო შემდგომ უნდა იყოს დალუქული, რათა თავიდან იქნას აცილებული გრუნტის წყლებისა და მწერების შეღწევა.
- კაბელსა და დრენაჟებს, წყალსადენისა და კანალიზაციის მილებს შორის ჰორიზონტალური დაშორება უნდა იყოს არა ნაკლებ 1.0 მეტრი, ხოლო შეზღუდულ პირობებში შესაძლებელია ამ მანძილის შემცირება 0.5 მეტრამდე. (იხ. „ПУЭ“ §2.3)
- საკაბელო ეგხ-ს მთელ სიგრძეზე მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ზე თხრილში უნდა ჩაიდოს სასიგნალო (გამაფრთხილებელი) ლენტი ЛСЭ-150 (სიგანე 15 სმ);
- გამაფრთხილებელი ლენტის ზემოთ შეივსოს ექსკავაციიდან მიღებული გრუნტით. ნიადაგი დაიტკეპნოს სატკეპნით ისე, რომ ზედაპირი მივიღოთ გლუვი ბზარების გარეშე.

სასიგნალო ლენტის მახასიათებლები



1. ლენტის სახეობა – პოლიეთილენი
2. ლენტის სიგანე – 150 მმ
3. ლენტის სისქე -0.6 – 1.0 მმ
4. ლენტის ფერი – წითელი
5. ლენტის გაწყვეტის სიმტკიცე – 15.0 МПА (150КСС/СМ)М

ლენტის სიმყიფის ტემპერატურა – არაუმაღლეს 30 ^{0}C მუშაობის დრო – 30 წელი

- მექანიკური დაზიანებისაგან დასაცავად, გადასატანი 10/6კვ ეგხ-ს მონაკვეთების ყველა საპროექტო საკაბელო მონაკვეთის ჩანართი უნდა მოთავსდეს 110 მმ დიამეტრის PEND SN-8 პლასტმასის გოფრირებულ მილში.

მილები გაიწმინდოს კაბელის დამონტაჟებამდე. კაბელის მოტაჟის შემდგომ თითოეული მილის ბოლო შემდგომ უნდა იყოს დალუქული, რათა თავიდან იქნას აცილებული გრუნტის წყლებისა და მწერების შეღწევა.

10/6კვ ძაბვის კაბელის მოწყობა საკაბელო არხში



10/6კვ ძაბვის კაბელის დამცავ მილში გატარება



მიწის მოცულობითი სამუშაოები 1 კაბელისთვის 10/6კვ					
1	ღორღი	<40	მ3	0	
2	ქვიშა-ხრეშის ნარევი	<40	მ3	0	
3	მიწა მინარევების გარეშე ან ქვიშა		მ3	20	
4	ბეტონი		მ3	0,00	
	მოცულობა				
1	ასფალტირებული საფარის აყრა 9-10 სმ		მ2/მ3	0	0
2	ასფალტირებული საფარის აღდგენა 9-10 სმ		მ2	0	
3	ასფალტირებული საფარის აღდგენა 2-3 სმ		მ2	0	
4	დეკორატიული ფილების აყრა/აღდგენა		მ3	0	
5	ბეტონი		მ2/მ3	0,00	0,00
6	ტრანშეის გათხრა IV კატეგორიის გრუნტში		მ3	82	
7	საწოლის მომზადება 1 კაბელისათვის		მ/მ3	282	20
8	დამცავი მილის ჩალაგება	D=110	მ	10	
9	კაბელის ჩადება ტრანშეაში		მ	299	
10	კაბელის გატარება დამცავ მილში		მ	11	
11	კაბელის გატარება ქვესადგურში		მ	0	
12	კაბელის გატარება სამრდენზე		მ	0	
13	კაბელის გატარება ხოკერით კედელზე		მ	0	
14	კაბელის გატარება კედელზე		მ	0	
15	კაბელის დაფარვა დამცავი ლენტით		მ	299	
16	გრუნტის შკან ჩაყრა		მ3	62	
17	ღორღის ჩაყრა ტრანშეაში		მ3	0	
18	ქვიშა-ხრეშის ჩაყრა ტრანშეაში		მ3	0	
19	საწოლის მომზ. მიწით მინარევ. გარეშე ან ქვიშით		მ3	20	
20	გრუნტის გატანა		მ3	20	
21	გვირაბული მეთოდი		მ	0	

მითითებანი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე

10/6კვ ძაბვის საკაბელო ხაზის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები იყოფა სამ ნაწილად:

- მოსამზადებელი სამუშაოები;
- სამშენებლო – სამონტაჟო;
- გაშვება – გაწყობითი.

მოსამზადებელ სამუშაოებში შედის ტრასის განვლადობის შემოწმება, ტრასასთან მისასვლელი გზების შერჩევა, ტრასის გამოკვლევა და დაკვალვა.

სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები მოიცავს ტრასაზე კაბელის მიტანას, ტრანშას მომადებას უშუალოდ ადგილზე და მიწის სამუშაოების შესრულებას მექანიზმებით.

გაიკრას შესაბამისი უსაფრთხოების პლაკატები მიმდებარე ტერიტორიაზე, ტორტუარებე და ა.შ.

გაშვება გაწყობითი სამუშაოების შესრულებისას უნდა მოხდეს მონაკვეთის დათვალიერება და თუ მონაკვეთე არ აღმოჩნდა დეფექტები ლაბორატორიული შემოწმების ჩატარების შემდეგ ობიექტი დადგეს ძაბვის ქვეშ.



WGS 84 - ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხოვრებელი შენობა		ბორდიური		ბეტონის ღობე		მიწის ნაკვეთის საზღვარი
ძას	არასაცხოვრებელი შენობა	ა	ასფალტის გზა		მავთულბადის ღობე		მეზობლის მიწის ნაკვეთის საზღვარი
ფ.	ფარდული	გრ.	გრუნტის გზა	გ	გაზი		ხეები, პალმა, ბუჩქი
სათბური	სათბური		რკინიგზა	W	წყალი		ბოძები
ნანგრევი	დანგრეული შენობა		მთავარი იზოჰიფსი		ნაყარი მიწა		განათების ელ. ბოძი
რეზ.	რეზერვუარი	221	იზოჰიფსი სიმაღლით		ჩამოჭრილი გრუნტი		ონკანი, სათვალთვალო ჭა
	თხრილი		ქვის ღობე		ხაზოვანი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით		ანძა, ანტენა
ტრ.	ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური		ლითონის ღობე		ქარსაცავი ზოლი		
					ცოცხალი ღობე		

დირექტორი		
შემსრულებელი	რ. მეცხოვრიშვილი	

ქ. თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე სს "გრინ ქეფითალ"-ს მიწის ნაკვეთიდან №01.14.06.004.003 არსებული ქელის გადატანა/რეკონსტრუქციის პროექტი

ფურც. №

ნახაზი №1

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0186 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

27.02.2025
N25-1617/ა.ლ

შპს „ნს სტუდიო“-ს დირექტორს
ბ-ნ ლუკა ჩაგანავას
ტელ: 593 278 858
მის: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქუჩა №3
ელ. ფოსტა: info@nsstudio.ge

თქვენი 09.02.2025 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქალაქ თბილისში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, (003) არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.06.004.003) მიმდებარედ, დანართში წარმოდგენილ საპროექტო არეალში გადის შპს „ახალი ქსელები''-ს ხაზოვანი ნაგებობა.

შპს „ახალი ქსელები'' არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით, ასევე არ დაზიანდება ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები. აუცილებელია, აღნიშნული სამუშაოები ჩვენი ხაზოვანი ნაგებობის სიახლოვეს და გადაკვეთისას ჩატარდეს ხელით.

სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი.
ტელ: 11 00 00

აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ კი, აუცილებელია, მოხდეს ხელახალი შეთანხმება, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

დანართი: 1) სიტუაციური ნახაზი;
2) ტექნიკური პირობა;
3) შეთანხმებული გეგმა.

პატივისცემით,

პროექტირების სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გელიაშვილი



პირობითი ნიშნები

არსებული საჰაერო ქსელი

მისამართი

ქ. თბილისი
ვაკის რაიონი, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე, (ნაკვეთი №03/003) მიმავალ გზაზე, (ნაკვეთი №03/004)

საპრ. უფროსი		ნ. გელიაშვილი
შემდგინა		ა. ლეკიშვილი

შ.პ.ს „ახალი ქსელები"
პოლიტკოვსკაიას № 42
ტელ: 11 00 00

მუშა ნახაზი	დაკვათა	ფურცლები	გვ.
		1	1
საკომუნიკაციო ქსელის სქემა	თარიღი 07.02.25	მასშტაბი 1:2,000	

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0182 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

ტექნიკური პირობა

შპს „ახალი ქსელები“ თანახმაა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდეს სამუშაოები, სამშენებლო ნორმებისა და ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით:

1. საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე ტექნიკური პირობის მიმღებმა ან/და მშენებელმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს შპს „ახალ ქსელებს“, რათა გამოყოს წარმომადგენელი (ზედამხედველი), რომელიც გადაკვეთის სამუშაოებს გაუწევს ზედამხედველობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს.
2. სამუშაოების დაწყებამდე შპს „ახალი ქსელები“-ს წარმომადგენელთან ერთად უნდა დაიგეგმოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა და შეფასდეს მოსალოდნელი რისკები. მშენებლობის პროცესში, აუცილებელია შპს „ახალი ქსელები“-ს წარმომადგენლის რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოთა უსაფრთხოდ შესრულებას და ხაზოვანი ნაგებობის დაცვას, დაზიანებისგან.
3. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს „ახალი ქსელები“-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ-0.5 მეტრის სიგანის ზოლი.
4. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს „ახალი ქსელები“-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ-0.5 მეტრის სიგანის ზოლი.
5. შპს „ახალი ქსელები“-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ საპროექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ-0.15 მეტრის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.
6. შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის აღმოჩენის შემთხვევაში 2 (ორი) მეტრის რადიუსში მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს მხოლოდ ხელით.
7. შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ-0.2 მეტრის დაშორებით.
8. წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შპს „ახალი ქსელები“-სათვის ანალოგიური ნებართვის გაცემა, მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.
9. საპროექტო შენობა ნაგებობის და შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ-1 მეტრის სიგრძისა.

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0182 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

10. მიწის სამუშაოების დაწყების დრო შპს „ახალ ქსელებს“ უნდა ეცნობოს წინასწარ, არანაკლებ 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე (საკ.ტელ: 11 00 00) მომავალში შესრულებული სამუშაოების შედეგად გამოწვეულ ტექნიკურ პრობლემებზე პასუხისმგებელია აღნიშნული ტექნიკური პირობის მიმღები ორგანიზაცია.
11. აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ კი, აუცილებელია, მოხდეს ხელახალი შეთანხმება, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

დამატებითი პირობები:

იმ შემთხვევაში, თუ შპს „ახალი ქსელები“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები და აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შპს „ახალ ქსელებ“-ს ელექტრონული ფოსტით (info@ak.ge) ან მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით. (საკ. ტელ: 11 00 00).

აღნიშნული ტექნიკური პირობის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს „ახალი ქსელები“ იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმდინარე სამშაოების შეჩერება და შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი.










017258004001
017258010090
011405008227
011406006128
011406004001
011405008284
011405008063
011405008418
011405008417
011405008324
011405008310
011405008317
011405008311
011405008172
011405008360
011405008281
011405009133
011406003008
011406004004
011406003061
011406004003
011406006131
011406001002
ვაკის რაიონი,
ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე
(ნაკვეთი #03/003)
(ნაკვეთი #03/004)
საჰაერო ქსელის გადატანის ტრაექტორია
შეთანხმებულია
26.02.2025